01/02/2019

სალომე ზურაბიშვილი კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს საფრანგეთის ეპარქიის მიტროპოლიტს შეხვდა

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს საფრანგეთის ეპარქიის მიტროპოლიტ ემანუელს შეხვდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან აცნობეს, შეხვედრა მისი ყოვლად უსამღვდელოესობის ინიციატივით შედგა.

„საქართველოს პრეზიდენტი საფრანგეთი ემიგრაციის პერიოდში წმ. ნინოს ეკლესიის მრევლი იყო, რომელიც მიტროპოლიტ ემანუელის დაქვემდებარებაშია“, – ნათქვამია ინფორმაციაში.